



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

თვის მიმოხილვა

2024

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საბარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრეგატები.....	15

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია


ISSN 1512-1259

ინფლაცია


ინფლაცია სამიზნე მარკენებელზე ქვემოთ ნარჩუნდება. სექტემბერში წლიურმა ინფლაციამ გასულ თვეებთან შედარებით ისევ დაიკლო და 0.6% შეადგინა. აგვისტოსთან შედარებით ფასების საერთო დონე 0.3%-ით გაიზარდა. ინფლაციის მიზნობრივი მარკენების ფარგლებში შენარჩუნებას მეცნილად ადგილობრივად წარმოებული საქონლისა და მომსახურების ინფლაციის დაბალი დონე განაპირობებს, რაც თავის მხრივ გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობაზე მიუთითებს. გასულ თვეებთან შედარებით მთლიანი ინფლაციის კლებას დამატებით ხელი შეუწყო იმპორტული ინფლაციის შემცირებამ.

საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამოირიცხავს, 0.8% შეადგინა.

თვის ინფლაცია 0.3% (პნიშვნელოვანი წვლილები)



წლიური ინფლაცია 0.6% (პნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

სექტემბერში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაზე ყველაზე მეტად სეზონურმა ფაქტორებმა იმოქმედა. იმერული ყველის გაძვირებამ თვის ინფლაცია 0.2 პპ-ით გაზარდა, ხოლო ვაშლის, ყურძნის, კიდრის და პომიდორის გაიაფებამ ჯამში თვის ინფლაცია დაახლოებით ამდენითვე შეამცირა.


წლიურ ჭრილში ინფლაციას ყველაზე მეტად ბენზინის გაძვირება ზრდიდა. გასულის წლის სექტემბერთან შედარებით ბენზინის ფასები საშუალოდ 7.2%-ით იყო გაზრდილი, ხოლო წვლილი ინფლაციაში 0.3 პპ-ს შეადგენდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ წინა თვეებთან შედარებით ბენზინის წვლილი მთლიან ინფლაციაში შემცირებულია, რაც საბაზო ეფექტის ეფაპორივ ამოწურვას უკავშირდება. ინფლაციის შემცირებას ყველაზე მეტად ინტერნეტის და ელექტროენერჯის გადასახადების გაიაფება, შესაბამისად 0.4 პპ და 0.3 პპ-ით განაპირობებდა. სურსათის ფასები გასული წლის სექტემბრის ფასებზე 0.8%-ით ნაკლები იყო (წვლილი ინფლაციაში -0.2 პპ). აქედან ყველაზე გამოსარჩევი მწვანილის და იმერული ყველის გაიაფებაა, რაც ინფლაციას ჯამში 0.4 პპ-ით ამცირებდა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


ადგილობრივი ინფლაცია დაბალ დონეზე ნარჩუნდება და სექტემბერში 1.2% შეადგინა. ადგილობრივი ინფლაციის დაბალ დონეს მომსახურების ინფლაციის კლება განაპირობებს, ხოლო იმპორტირებული ინფლაციის ბოლოდროინდელი შემცირება ძირითადად სანავის გაძვირებით გამოწვეული საბაზო ეფექტის ეფაპორივი მიღების ასახვაა. შერეულ ინფლაციაში ყველაზე გამოსარჩევი კვლავაც ელექტროენერჯის ღარიფისა და ანტიბიოტიკების წლიური გაიაფებაა.

მომსახურების ინფლაცია სექტემბერში 1.6%-მდე შემცირდა. როგორც აღვნიშნეთ, მომსახურების ინფლაციის თანდათან შემცირება მეცნილად საბაზო ეფექტის ამოწურვას უკავშირდება. გარდა ამისა, მომსახურების ინფლაციის შემცირებაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა ივლის-აგვისტოში ინტერნეტის ღირებულების კლებამ (1.7 პპ-ით).

იმპორტული, შერეული და ადგილობრივი წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2024 წლის წონები	სექ24/აგვ24		სექ24/სექ23	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.3%	0.3%	0.6%	0.6%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.4%	-0.3%	-0.1%	-0.3%	-0.1%
სურსათი	30.4%	-0.3%	-0.1%	-0.8%	-0.2%
პური და პურპროდუქტები	6.1%	-0.3%	0.0%	-1.5%	-0.1%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	0.1%	0.0%	2.0%	0.1%
თევზი	0.4%	-0.4%	0.0%	0.1%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.7%	4.0%	0.2%	-3.2%	-0.2%
ზეთი და ცხიმი	2.5%	1.0%	0.0%	-1.7%	0.0%
ხილი, ყურძენი	1.6%	-8.5%	-0.2%	13.6%	0.2%
ბოსტნეული, ბალახეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.2%	-5.1%	-0.2%	-11.9%	-0.4%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	-2.7%	-0.1%	1.3%	0.0%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	0.9%	0.0%	4.3%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.2%	0.0%	5.4%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.8%	0.0%	0.0%	4.9%	0.3%
დანსაცემელი და ფესხაცემელი	4.0%	3.3%	0.1%	-1.4%	-0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	8.7%	-0.1%	0.0%	-2.9%	-0.2%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.5%	0.1%	0.0%	-1.5%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	0.3%	0.0%	0.6%	0.1%
ტრანსპორტი	12.0%	-0.4%	-0.1%	4.3%	0.5%
კავშირგაბმულობა	3.7%	-0.4%	0.0%	-12.8%	-0.5%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.3%	0.8%	0.0%	-1.1%	0.0%
განათლება	4.6%	4.4%	0.2%	2.7%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	0.4%	0.0%	7.5%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.2%	0.4%	0.0%	4.8%	0.3%
მოკლევადიანი მოხმარების საქონელი	63.1%	-0.1%	-0.1%	0.6%	0.4%
საშუალოვადიანი მოხმარების საქონელი	7.2%	1.6%	0.1%	-2.0%	-0.1%
ხანგრძლივადიანი მოხმარების საქონელი	4.9%	-0.1%	0.0%	-0.4%	0.0%
მომსახურება	24.8%	1.0%	0.2%	1.6%	0.4%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


აგვისტოში საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 7.8 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 0.3 მლრდ ლარით გაიზარდა) და 55.7 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 16.3%-ით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 0.4 მლრდ ლარით (1.5%-ით) გაიზარდა და 28.9 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დეპოზიტების მატებამ განაპირობა. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით 0.2 მლრდ ლარით შემცირდა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 121.2 მლნ ლარით გაიზარდა.

სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აგვისტოში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით შემცირდა და 5.6% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით შემცირდა და 7.3%-ზე შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით, 1.6%-მდე შემცირდა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით შემცირდა და 10.3% შეადგინა. ასევე შემცირდა აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთები, 0.3 პპ-ით, 2.2%-მდე. ევროს ვადიანი დეპოზიტები კი 0.2 პპ-ით, 1.6%-მდე გაიზარდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკაალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაკაალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეპოზიტების დოლარიზაციამ აგვისტოში 47.8% შეადგინა. აგვისტოს ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.2 პპ-ით, 63.6%-მდე გაიზარდა, ხოლო იურიდიული პირების 1.0 პპ-ით, 37.1%-მდე შემცირდა. ამავდროულად, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით, 61.6%-მდე გაიზარდა.

დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფიზიკური პირების ვალდანი დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აგვისტოში გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 18.6%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ცემპი წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ცემპის მატება ეროვნული და უცხოური ვალუდით დაკრედიტების თანაბრად დაჩქარებამ განაპირობა. კერძოდ, აგვისტოში, უცხოური ვალუდით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) წლიურად 14.0%-ით გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 6.3 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტების ზრდა ბიზნესის სესხების ზრდას უკავშირდება, რომლის წვლილი დაკრედიტების ზრდაში 11.1 პპ-ია. იპოთეკური სესხების წვლილმა მთლიანი სესხების ზრდაში 2.4 პპ-ზე შეადგინა. ეროვნული ვალუდით დაკრედიტების ზრდის ცემპი 22.4%-მდე გაზრდილი და მთლიანი სესხების ზრდაში 12.3 პპ-იანი წვლილი შეიტანა.

სესხების წლიური ზრდის ტენდენცია (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში სესხების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.3 პპ-ით გაიზარდა და 13.3% შეადგინა. ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 14.9%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 9.2%-მდე შემცირდა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნააკალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნააკალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ავისცოში იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 11.8%-ს შეადგენს. ხოლო ეროვნული ვალუტით გაცემულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 11.9%-მდე გაიზარდა. ავისცოში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო 0.5 პპ-ით, 9.7%-მდე შემცირდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.2 პპ-ით 7.7%-ზე გაიზარდა.


ავისცოში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.1 პპ-ით, 43.9%-მდე შემცირდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით, 63.9%-მდე გაიზარდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.2 პპ-ით, 26.5%-მდე შემცირდა. ავისცოში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 75.4 მლნ ლარით შემცირდა და 543.7 მლნ ლარს გაუტოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 45.2% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული სესხების დინამიკა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბარემო საქტორი


2024 წლის ავისცოში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 23.5%-ით გაუმჯობესდა და 702.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის კლება როგორც ექსპორტის მალალ ზრდას, ასევე შემცირებულ იმპორტს უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 4.8%-ით 1,344.1 მლნ აშშ დოლარამდე დაიკლო, ხოლო ექსპორტი წლიურად 30.1%-ით გაიზარდა და 641.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტადი


სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (აპრისცო 2024)



წყარო: საქსტადი

იმპორტი - ავისცოში საქონლის იმპორტი წლიურად 4.8%-ით შემცირდა. საქონლის იმპორტის კლება უმეტესად სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის მალალმა შემცირებამ განაპირობა. შუალედური და საინვესციციო სახის საქონლის ჯგუფების იმპორტი ამჯერად ზომიერად გაიზარდა. სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის კლებაში ყველაზე მეტი წვლილი რეექსპორტისთვის განკუთვნილი მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების მკვეთრმა შემცირებამ განაპირობა, თუმცა მიუხედავად წლიურად კლებისა, მათი მოცულობა მთლიან იმპორტში კვლავ მნიშვნელოვან წილს იკავებს. ამასთანავე დაიკლო ცანსაცმლისა და სპირტიანი სასმელების ჯგუფების შესყიდვამ. მეორე მხრივ, სამომხმარებლო ჯგუფის იმპორტიდან აღსანიშნავია შერეული საქონლისა და სარეცხი მანქანების შესყიდვების ზომიერი ზრდა. შუალედური სახის საქონლის იმპორტის მაცება უმეტესად ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინისა და ნახევარფაბრიკატების, ასევე ნავთობპროდუქტების, პორცლანდცემენტისა და ხორბალი-მესლინის შესყიდვების ზრდამ განაპირობა. ამასთან, მოსაპირკეთებელი ფილების, რეზინის სალცეებისა და მსუბუქი და საცვიროთო ავტომობილების ნაწილების ჯგუფების იმპორტმა დაიკლო. საინვესციციო საქონლის იმპორტის მაცება 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების, გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე სხვადასხვა ჩარხების შესყიდვების ზრდამ განაპირობა. მეორე მხრივ, ამავე ჯგუფში მედიცინაში გამოსაყენებელი ხელსაწყობების, ატრაქციონების საქონლისა და ელექტროლი მრავლების იმპორტი წლიურად შემცირდა. მთლიანობაში, ავისცოში წლიურად საქონლის იმპორტმა რეალურად 11.0%-ით დაიკლო.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიძლება აშშ-მ, რაც რეექსპორტისთვის განკუთვნილი მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების მკვეთრ შემცირებას უკავშირდება, თუმცა ამ ქვეყნიდან კაკლისა და სხვა შერეული საქონლის იმპორტი გაზრდილია. გარდა ამისა, იაპონიიდან იმპორტის კლება მსუბუქი ავტომობილების, ხოლო ნიდერლანდებიდან გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე საცელეფონო აპარატების დაკლებულმა შესყიდვებმა განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია გაბონიდან მანგანუმის მადნებისა და კონცენტრატების, ბრაზილიიდან შაქრის, შვედეთიდან საცელეფონო აპარატების და გაერთიანებული სამეფოდან სამშენებლო მანქანების შესყიდვების მატება. ამის საპირისპიროდ, დანარჩენი ქვეყნებიდან წლიურად იმპორტის მატების კუთხით გამოირჩეოდნენ თურქეთი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების და ასევე პორტლანდცემენტის, ჩინეთი საცელეფონო აპარატებისა და სხვადასხვა ტიპის ამწეების, გერმანია მსუბუქი ავტომობილებისა და ჭურჭლის სარეცხი მანქანების, პოლონეთი 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების, ხოლო ირანი ნახშირბადიანი ფოლადის წნელების მატების გამო. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 63% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.


აგვისტოში იმპორტირებულ საქონელში წილი მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და დაფასოებულ სამკურნალო საშუალებებს (28%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა. მსუბუქი ავტომობილების იმპორტი თითქმის სამჯერ შემცირდა, თუმცა მთლიან იმპორტში 17%-იანი წილით კვლავ წამყვანი ადგილი უჭირავს. აღსანიშნავია ასევე, რომ აგვისტოში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის აგვისტოსთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (აგვისტო 2024, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 222	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 111		სამკურნალო საშუალებები, 46	
	საცელეფონო აპარატები, 28	ნავთობის აირები, 21	ნახშირბადიანი ფოლადის წნელები, 26	საღვრიტო ავტომობილები, 17
				გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები, 16
			შაქარი, 14	შავი ლითონების კონსტრუქციები, 14

წყარო: საქსტატი


ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (აგვისტო 2024)



წყარო: საქსტატი


ექსპორტი - აგვისტოში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 30.1%-ით გაიზარდა და 641.7 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. საქონლის ექსპორტის ასეთი მაღალი ზრდა მეტწილად სამომხმარებლო სახის საქონლის ექსპორტის მატებამ განაპირობა. ამასთანავე, შუალედური და საინვესტიციო სახის საქონლის ექსპორტმა ზრდა განაგრძო. სამომხმარებლო სახის საქონლის ჯგუფიდან ყველაზე მეტი დადებითი წვლილი მსუბუქი ავტომობილების (29 პპ სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ზრდაში) და სპირტიანი სასმელების გაყიდვებმა შეიძინა. მოიმადა ასევე მინერალური, მცენარი და გაზიანი სასმელების, ასევე სამკურნალო საშუალებების ექსპორტმა. ამასთანავე, ადგილობრივი საქონლის ჯგუფებიდან აღსანიშნავია ყურძნის ნაცურალური ღვინოებისა და თხილი-კაკლის ჯგუფების ექსპორტის მატება. შუალედური სახის საქონლის ექსპორტის ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი (27.3 პპ) ადგილობრივი წარმოების ნედლეულმა - ფეროშენადნობებისა და ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების - გაყიდვების გააქტიურებამ შეიძინა. ამასთანავე, მინერალური და ქიმიური სასუქების, ასევე დაუმუშავებელი ოქროს ექსპორტმა კვლავ მოიმადა. გარდა ამისა, აგვისტოში, წინა წლის ბოლო თვეებისგან განსხვავებით, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი დაბალი იყო, ამასთანავე წლიურად მისი მოცულობა მნიშვნელოვნად დაკლებულია. საინვესტიციო საქონლიდან საღვრიტო ავტომობილების, სამშენებლო დანიშნულების მანქანა-დანადგარებისა და სპეცდანიშნულების ავტომობილების ექსპორტმა მოიმადა, ხოლო ტრექტორების რეექსპორტმა კი ზომიერად დაიკლო. აგვისტოში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 35.4%-ით გაიზარდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საქსპორტო შემოსავლების მატებაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიტანეს ყირგიზეთსა და ყაზახეთში ექსპორტის მატებამ, რაც უმეტესად მსუბუქი ავტომობილების მკვეთრად გაზრდილმა გაყიდვებმა განაპირობა. გარდა ამისა, რუსეთში ყურძნის ნაცურალური ღვინოების, სპირტიანი სასმელების, მინერალური წყლებისა და სხვადასხვა ხილის ექსპორტი გაიზარდა. სომხეთში ნახშირბადიანი ფოლადის წნელების, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ხორცის გრანულებისა და მინერალური წყლების, ხოლო თურქეთში ფეროშენადნობებისა და სხვადასხვა ტიპის ტანსაცმლის გაყიდვებმა მოიმატა, ხოლო ელექტროენერჯის ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჩინეთში სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, ინდოეთში მინერალური და ქიმიური სასუქების, ნიდერლანდებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, საუდის არაბეთში ცოცხალი ცხვრებისა და თხების, ხოლო ესპანეთში ქიმიური და მინერალური სასუქების გაყიდვების მატება. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტი შემცირდა. კერძოდ, ბულგარეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო აზერბაიჯანსა და ბელგიაში მსუბუქი ავტომობილების გაყიდვებმა წლიურად დაიკლო. ამასთანავე დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია რუმინეთში, პერუსა და მოროკოში ქიმიური და მინერალური სასუქების ექსპორტის ზომიერი კლება. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 80% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


ავისტოში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (44%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. წილობრივად ასევე მაღალი იყო ძვირფასი ლითონების მადნების, სპირტიანი სასმელებისა და ყურძნის ღვინოების ექსპორტი. საქონლის ექსპორტის მატებაში ყველაზე მაღალი წვლილები მსუბუქი ავტომობილებისა და ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების ჯგუფებმა შეიტანეს (19.2 კპ და 5.2 კპ მთლიან ცვლილებაში შესაბამისად). ავისტოში ფეროშენადნობების გაყიდვებმა ზრდა განაგრძო და წლიურად თითქმის 6-ჯერ მეტი გაიყიდა. წლის დასაწყისიდან დაწყებული, მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შემცირება განაგრძო, თუმცა ავისტოში წლიურად მნიშვნელოვნად (49.7%-ით) მოიმატა და 285 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. გარდა ამისა, ექსპორტის მოცულობაზე ელექტროენერჯისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯგუფებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი კლება უარყოფითად აისახა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (ავისტო 2024, მლნ აშშ დოლარი)

ძვირფასი ლითონების მადნები, 31	სპირტიანი სასმელები, 25	
ყურძნის ნაცურალური ღვინოები, 22	ფეროშენადნობები, 18	
დაგაზიანებული წყლები, 17	სამკურ. საშუალებები, 12	მსხვილფეხა პირუტყვი, 11
მსუბუქი ავტომობილები, 285	მტკნარი წყლები, 15	ცხვრები და თხები, 9

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (ავისტო 2024)




წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - აგვისტოში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 0.3%-ით მოიმატა და 290.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 12.1%-ით 33.1 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.


ფულადი გზავნილების მცირედი მატება საბაზო ეფექტის ამოწურვას უკავშირდება. აგვისტოში, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 30%-ით, 43 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. თუმცა, მალალი ცემპებით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან და ისრაელიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები (24.9%-ით და 18.2%-ით). ასევე, დანარჩენი ქვეყნებიდან, როგორცაა ყირგიზეთი და გაერთიანებული სამეფო, გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ ზრდადია (62.4%-იანი და 20.5% -იანი მატება, შესაბამისად). **კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ევროკავშირის ქვეყნებიდან, იტალიიდან და გერმანიიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების ზრდას.** აგვისტოში, რეგიონის ქვეყნებიდან, კერძოდ თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო (5.2%-იანი და 11.8%-იანი კლება). უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ მინიმალურ დონეზე რჩება. **აგვისტოში, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (44.5%), აშშ (17.5%) და რუსეთი (14.6%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მალალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სრულ ფულად გზავნილებაში (აგვისტო 2024)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7338-დან 2.6995-მდე (1.3%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ - 2.9647-დან 2.9677-მდე (0.1%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6911 და 2.9809 შეადგინა. აგვისტოში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7147 იყო, მინიმალური კი - 2.6891.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა მინიმუმზე მეტად იყო გადახრილი.


აგვისტოში საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია ევროს და ლარის გამყარება; თურქული ლირა და რუსული რუბლი შესამჩნევად გაუფასურდა, ხოლო აზერბაიჯანული მანათი და სომხური დრამი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (აგვისტო 2024; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 9.3%-ით გაუფასურდა, თვის წრილში გამყარებამ კი 0.8% შეადგინა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს, წლიური გამყარება 0.1%-ია, თვის წრილში კი 1.5%-ია.

ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციაზე ზრდის წნეხს ქმნის.

სავაჭრო პარტნიორებთან (თურქეთი, რუსეთი უკრაინა, ბელარუსი, აზერბაიჯანი, აშშ, ევროზონა და სომხეთი) შედარებით აგვისტოში წლიური ინფლაცია საქართველოში ყველაზე დაბალი იყო.


ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაცია მცირდება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვ 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპაჭრო პარცნიორი ქვეყნების ინფლაციები (აპრილ 2024)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები

აგვისტოში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 ბანკი და 8¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით, თვიურად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი შემცირებულია.


ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსის დაბალი დონე სავალუტო ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა თვიურად მცირედით გაიზარდა, წლიურად კი შემცირებულია. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 181.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 1.0 მლნ აშშ დოლარით მეტი, წინა წლის აგვისტოსთან შედარებით კი - 39.4 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 21.2%-ით შემცირდა, წლიურად კი 4.0%-ით გაიზარდა.

აგვისტოში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ გარიგებებით ხდებოდა (98.2%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,319.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 461.9 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის წრიულში 23.0 მლნ აშშ დოლარითაა შემცირებული. სპოტ² გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 1.2% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 41.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.


საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



ანგარიშსწორების თარიღით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




აგვისტო-2024

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება წლიურ წრეში გაზრდილია, ხოლო თვიურად შემცირებული. საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აგვისტოში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 181.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრეში შემცირება 18.3 მლნ აშშ დოლარია) და 1,652.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 280.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრეში შემცირება 4.7 მლნ აშშ დოლარია) და 1,666.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შექმნაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა. აგვისტოში სავალუტო ფორვარდ³ გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 31.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრეში შემცირება 24.5 მლნ აშშ დოლარია) და 59.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი - არარეზიდენტ ბანკებსა და იურიდიულ პირებზე, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 34.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



ანგარიშსწორების თარიღით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა





აგვისტო-2024

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 167.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 4.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით სავალუტო ინტერვენციებით წმინდა შესყიდვები, მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები და მონეტარული ოქროს გადაფასება, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების მენეჯმენტისთვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

აგვისტოში სადეპოზიტო სერტიფიკატების ორი აუქციონი ჩატარდა და 20-20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი გაიყდა. ამავ პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადეპოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი გაიზარდა და აგვისტოს ბოლოს ნაშთმა 80 მლნ ლარი შეადგინა.


აგვისტოში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 270.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. აგვისტოში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 85 და 105 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 230.0 მლნ ლარით გაიზარდა და 8,984.4 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 65.6%-ს - კომერციული ბანკების, 19.2%-ს - ეროვნული ბანკის, 11.8%-ს - რეზიდენტების, ხოლო 3.4%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აგვისტოში, როგორც სადეპოზიტო სერტიფიკატების, ასევე სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. კერძოდ, აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.10 პპ-ით, 7.60%-მდე, შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.08 და 0.05 პპ-ით შემცირდა და შესაბამისად, 7.83% და 7.80% შეადგინა; ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები 0.08, 0.71 და 0.65 პპ-ით შემცირდა და, შესაბამისად, 9.08%, 8.77% და 9.15% შეადგინა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შამოსავლიანობის გრადი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვიურად 2,491.2 მლნ ლარით (წლიურად 9,199.2 მლნ ლარით) 18,381.9 მლნ ლარამდე შემცირდა, რაც მეტწილად უცხოური ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (87.6%), რომლის მოცულობაც თვიურად 1,303.2 მლნ ლარით (7.5%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვიურად 1,188.0 მლნ ლარით (34.3%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.04 პპ-ით შემცირდა და 7.89% შეადგინა. უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით 0.01 პპ-ით გაიზარდა და 3.26% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ აგვისტოში ფულადი ბაზრის რესურსის 30.1% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 69.4% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აბრეგატები

აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 95.9 მლნ ლარით (1.3%) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის 7.5 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით 207.5 მლნ ლარით (2.8%-ით) გაიზარდა.


აგვისტოში, საბანკო სისტემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 61.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო აუქციონებით ეროვნულ ბანკს ინტერვენციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა აგვისტოს განმავლობაში 41.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქცივები დაახლოებით 20.6 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. აგვისტოში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 20.2 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1001.6 მლნ ლარს გაუცოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 136.6 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 90 მლნ ლარით გაიზარდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი 19.1 მლნ ლარით შემცირდა. აგვისტოში, განთავსდა 40.0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატი და დაიფარა 20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატი. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა არ ყოფილა. მთლიანობაში, აგვისტოში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 51.2 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 3,825.8 მლნ ლარს გაუცოლდა.


აგვისტოში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 214.3 მლნ ლარით გაიზარდა, ეროვნული ვალუტის დებოზიტების ზრდის გავლენით. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 236.8 მლნ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

